საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
MINISTRY OF EDUCATION AND SCIENCE OF GEORGIA

MES 7 16 00261589

16/03/2016

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს

გეგზავნებათ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის მიერ, საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინსპექტირების შედეგებზე შედგენილი დასკვნა.

ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი დარღვევის საფუძველზე გეძლევათ მითითება ბათილად ცნოთ:

უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2016 წლის 17 თებერვლის №5 სხდომის ოქმში დაფიქსირებული გადაწყვეტილება, არსებულ კანდიდატებს შორის ხელახალი კენჭისყრის პროცედურის ჩატარებისა და კანცლერის შერჩეული კანდიდატის სენატისადმი წარდგენის ბოლო ვადად 2016 წლის 23 თებერვლის განსაზღვრის შესახებ;

უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილება (№20/2016 17/02/2016), ,,სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატის შერჩევის მიზნით კონკურსის გამოცხადების, პრეტენდენტთა რეგისტრაციის დაწყებისა და მათი შერჩევის კრიტერიუმების შესახებ განცხადების ტექსტის დამტკიცების თაობაზე'' აკადემიური საბჭოს 2015 წლის 26 ოქტომბრის №109/2015 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2016 წლის 19 თებერვლის №6 სხდომის ოქმში დაფიქსირებული აკადემიური საბჭოს მიერ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობაზე წარსადგენად გიორგი გაფრინდაშვილის კანდიდატურის შერჩევის გადაწყვეტილება;

უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილება (№21/2016 19/02/2016), ,,სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობაზე კანდიდატის შერჩევის შესახებ'';

0102 ქ.თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. 52
52 Dimitri Uznadze str. Tbilisi 0102, Georgia, www.mes.gov.ge
ტელ/Tel.:(+995 32) 2 200 220

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
შემოსული
კორესპონდენციის № 11 099/02
17 03 2016 წ. 10 სთ
ხელმოწერა

უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წარდგინება (№2/03-01-14 22/02/2016), უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოსათვის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობაზე დასამტკიცებლად გიორგი გაფრინდაშვილის კანდიდატურის წარდგენის შესახებ.

ასევე, გეძლევათ მითითება, გაითვალისწინოთ დასკვნაში მითითებული დარღვევა შემდგომ საქმიანობაში და განხორციელებული ღონისძიებების შესახებ ანგარიში წარმოადგინოთ შიდა აუდიტის დეპარტამენტში ერთი თვის ვადაში.

დანართი: 8 (რვა) ფურცელი

პატივისცემით,

შიდა აუდიტის დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსი
ალექსანდრე ონოფრიშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს

შიდა აუდიტის დეპარტამენტის

დ ა ს კ ვ ნ ა № 1603161525.

სსიპ- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კანცლერის კანდიდატურის წარდგენის პროცესთან დაკავშირებით

2016 წლის 12 მარტს ინტერნეტ-პორტალზე www.barristers.ge გავრცელდა ინფორმაცია სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კანცლერის კანდიდატურის წარდგენის პროცესთან დაკავშირებით შესაძლო დარღვევის ფაქტზე. საკითხის სრულყოფილად შესწავლის მიზნით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 14 მარტის №227 ბრძანებით შიდა აუდიტის დეპარტამენტს დაევალა საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ინსპექტირების ჩატარება. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების 47-ე მუხლის მე-2 პუნქტის (უნივერსიტეტის სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, რომელიც ახორციელებს უნივერსიტეტის საქმიანობის კანონიერების, მიზანშეწონილობის, ეფექტიანობისა და საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის ზედამხედველობას. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო უფლებამოსილია მოსთხოვოს უნივერსიტეტს კონტროლის განსახორციელებლად საჭირო ნებისმიერი მასალისა და ინფორმაციის წარმოდგენა) საფუძველზე, საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს (შემდგომში - უნივერსიტეტი) ეთხოვა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში წარმოედგინა კანცლერის კანდიდატურის წარდგენასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია სრულად, ასევე უნივერსიტეტის პოზიცია და განხორციელებული ქმედებების სამართლებრივი დასაბუთება.

უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დადგინდა შემდეგი:

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ გამოიცა დადგენილება (№109/2015 26/10/2015) ,,სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატის შერჩევის მიზნით კონკურსის გამოცხადების, პრეტენდენტთა რეგისტრაციის დაწყებისა და მათი შერჩევის კრიტერიუმების შესახებ განცხადების ტექსტის დამტკიცების თაობაზე'', რომლითაც აკადემიურმა საბჭომ

დაადგინა: 1. გამოცხადდეს კონკურსი სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - ,,უნივერსიტეტი") ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატის შერჩევის მიზნით, დაიწყოს პრეტენდენტთა რეგისტრაცია და დამტკიცდეს კონკურსის გამოცხადების, პრეტენდენტთა რეგისტრაციისა და მათი შერჩევის კრიტერიუმების შესახებ განცხადების ტექსტი (დანართი №1). აღნიშნული დანართის მე-4 პუნქტით განისაზღვრა, რომ აკადემიური საბჭოს მიერ კონკურსანტების შეფასება განხორციელდეს 2 ეტაპად: ა) დოკუმენტური მონაცემების შეფასება - 2015 წლის 21 დეკემბრიდან არა უგვიანეს 30 დეკემბრისა; ბ) პრეტენდენტებთან გასაუბრება - 2016 წლის 14 იანვრიდან არა უგვიანეს 28 იანვრისა. ამავე დანართის მე-5 პუნქტის თანახმად, აკადემიური საბჭოს მიერ პრეტენდენტების შეფასების განხორციელებისა და კონკურსის საფუძველზე შერჩეული ერთი კანდიდატურის წარმომადგენლობითი საბჭოსთვის წარდგენის ბოლო ვადად განისაზღვრა 2016 წლის 5 თებერვალი.

2016 წლის 27 იანვრის აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმი №3-ის მიხედვით, განიხილეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატის შერჩევის საკითხი. აკადემიური საბჭოს წევრებმა კენჭი უყარეს თსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობაზე დარეგისტრირებულ კანდიდატებს. იოსებ არჩვაძეს მხარი დაუჭირა 8 წევრმა, ხოლო წინააღმდეგი იყო - 6. გიორგი გაფრინდაშვილის კანდიდატურას მხარი დაუჭირა 6-მა წევრმა და 8 იყო წინააღმდეგი.

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ გამოიცა დადგენილება (№8/2016 27/01/2016) სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობაზე კანდიდატის შერჩევის შესახებ, რომლის მიხედვითაც აკადემიურმა საბჭომ დაადგინა: 1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობაზე შერჩეულ იქნეს იოსებ არჩვაძის კანდიდატურა. 2. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კანდიდატურა დასამტკიცებლად წარედგინოს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წარდგინებით (№1/03-01-14 04/02/2016) ამავე უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობაზე დასამტკიცებლად წარედგინა იოსებ არჩვაძის კანდიდატურა.

2016 წლის 17 თებერვლის აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმი №5-ში მითითებულია, რომ აკადემიურმა საბჭომ განიხილა უნივერსიტეტის კანცლერის თანამდებობაზე შერჩეული კანდიდატის, იოსებ არჩვაძის მიერ თსუ-ს კანცლერობიდან საკუთარი კანდიდატურის მოხსნასთან დაკავშირებით შექმნილი ვითარების დარეგულირების საკითხი. ოქმში მითითებულია, რომ შექმნილი სიტუაციის სამართლებრივი გზით დასარეგულირებლად განიხილებოდა ორი შესაძლო ვარიანტი: 1) მიმდინარე კონკურსის დასრულებულად

გამოცხადება და ახალი კონკურსის გამოცხადება; 2) არსებულ კანდიდატებს შორის ხელახალი კენჭისყრის ჩატარება. აკადემიური საბჭოს წევრები შეჯერდნენ არსებულ კანდიდატებს შორის ხელახალი კენჭისყრის პროცედურის ჩატარებაზე. ამავე ოქმის თანახმად, აკადემიურმა საბჭომ გადაწყვიტა, რომ კანცლერობის შერჩეული კანდიდატის სენატისადმი წარდგენის ბოლო ვადად განესაზღვრა 2016 წლის 23 თებერვალი.

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით (№20/2016 17/02/2016) ცვლილება შევიდა აკადემიური საბჭოს 2015 წლის 26 ოქტომბრის №109/2015 დადგენილებაში და აკადემიური საბჭოს მიერ პრეტენდენტების შეფასების განხორციელებისა და კონკურსის საფუძველზე შერჩეული ერთი კანდიდატურის წარმომადგენლობითი საბჭოსთვის წარდგენის ბოლო ვადად განისაზღვრა 2016 წლის 23 თებერვალი.

2016 წლის 19 თებერვლის აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმი №6-ში აღნიშნულია, რომ აკადემიურმა საბჭომ განიხილა უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატის შერჩევის საკითხი. აკადემიური საბჭოს წევრებმა კენჭი უყარეს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობაზე დარეგისტრირებულ კანდიდატებს. გიორგი გაფრინდაშვილის კანდიდატურას მხარი დაუჭირა 9 წევრმა, წინააღმდეგი იყო - 5. აკადემიური საბჭოს წევრებმა ხმათა უმრავლესობით ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობაზე წარსადგენად შეარჩიეს გიორგი გაფრინდაშვილის კანდიდატურა.

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით (№21/2016 19/02/2016) ,,სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობაზე კანდიდატის შერჩევის შესახებ'', აკადემიურმა საბჭომ დაადგინა: 1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობაზე შერჩეულ იქნეს გიორგი გაფრინდაშვილის კანდიდატურა; 2. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კანდიდატურა დასამტკიცებლად წარედგინოს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წარდგინებით (№2/03-01-14 22/02/2016) სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობაზე დასამტკიცებლად წარედგინა გიორგი გაფრინდაშვილის კანდიდატურა.

,,უმაღლესი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის ,,ე'' ქვეპუნქტის თანახმად, წარმომადგენლობითი საბჭო ამ კანონის შესაბამისად, ამტკიცებს ადმინისტრაციის ხელმძღვანლის კანდიდატურას აკადემიური საბჭოს წარდგინებით. ამავე კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ე'' ქვეპუნქტის თანახმად, **აკადემიური საბჭო ამ კანონის შესაბამისად წარმომადგენლობით საბჭოს სიითი**

შემადგენლობის უმრავლესობით წარუდგენს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კონკურსის საფუძველზე შერჩეულ კანდიდატურას.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის ,,ე'' ქვეპუნქტის თანახმად, **კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად, ამ წესდებით განსაზღვრული მიზნების განსახორციელებლად, აკადემიური საბჭო წარმომადგენლობით საბჭოს სიითი შემადგენლობის უმრავლესობით წარუდგენს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კონკურსის საფუძველზე შერჩეულ კანდიდატურას.** ამავე წესდების მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ,,ნ'' ქვეპუნქტის თანახმად, წარმომადგენლობითი საბჭო კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად, ამ წესდებით განსაზღვრული მიზნების განსახორციელებლად, ამტკიცებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კანდიდატურას აკადემიური საბჭოს წარდგინებით.

ამდენად, ,,უმაღლესი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონითა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდებით დადგენილია, რომ **აკადემიური საბჭო წარმომადგენლობით საბჭოს სიითი შემადგენლობის უმრავლესობით წარუდგენს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კონკურსის საფუძველზე შერჩეულ კანდიდატურას.**

ზემოაღნიშნული სამართლებრივი რეგულაციებიდან გამომდინარე, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად კანონმდებლობით განსაზღვრულია აკადემიური საბჭოს მიერ შემდეგი სამართლებრივი ქმედებებისა და ეტაპების განხორციელება:

1. კონკურსი, რომელიც თავის მხრივ შედგება ორი ეტაპისაგან:
   ა) დოკუმენტური მონაცემების შეფასება;
   ბ) პრეტენდენტებთან გასაუბრება.
2. კანდიდატურის წარდგენა წარმომადგენლობითი საბჭოსათვის.

აკადემიური საბჭოს მიერ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კანდიდატის შერჩევა ხდება ზემოაღნიშნული ეტაპების გავლის შედეგად, კონკურსის ჩატარების და კონკურსის საფუძველზე სიითი შემადგენლობის უმრავლესობით შერჩეული კანდიდატის წარმომადგენლობითი საბჭოსათვის წარდგენის გზით.

სწორედ აღნიშნული პროცედურის, კონკურსის ზემოაღნიშნული ეტაპების გავლის შედეგად მოხდა იოსებ არჩვაძის კანდიდატურის შერჩევა (მომხრე - 8) და წარმომადგენლობითი საბჭოსათვის დასამტკიცებლად წარდგენა. რაც შეეხება გიორგი გაფრინდაშვილის კანდიდატურას, 2016 წლის 27 იანვრის აკადემიური საბჭოს ხდომის №3 ოქმის მიხედვით, კენჭისყრის შედეგად მან მიიღო 6 ხმა, რაც არ წარმოადგენს აკადემიური საბჭოს სიითი შემადგენლობის უმრავლესობას, შესაბამისად, მისი წარდგენა ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კანდიდატად არ მომხდარა.

აკადემიური საბჭოს მიერ იოსებ არჩვაძის კანდიდატურის წარმომადგენლობითი საბჭოსათვის წარდგენით აღნიშნული კონკურსის ფარგლებში აკადემიური საბჭოს უფლებამოსილება ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კანდიდატურის შერჩევისა და წარდგენის კუთხით ამოიწურა, ყველა სამართლებრივი ქმედება შესრულდა. კანონმდებლობა არ ითვალისწინებს აკადემიური საბჭოს შესაძლებლობას, ერთი და იგივე კონკურსის ფარგლებში წარადგინოს ორი სხვადასხვა კანდიდატურა, მით უფრო, რომ კონკურსი უკვე დამთავრებული იყო და კანდიდატი გამოვლენილი.

კანონმდებლობის ნორმებიდან გამომდინარე, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობის დაკავება შეიძლება მხოლოდ **კონკურსის** საფუძველზე შერჩეული კანდიდატურის წარდგენის გზით. ვინაიდან ჩატარებული კონკურსის ფარგლებში უკვე გამოვლენილი იყო იოსებ არჩვაძის კანდიდატურა, კონკურსი დასრულებულად ითვლებოდა.

გიორგი გაფრინდაშვილის კანდიდატურას კენჭი ეყარა და იგი წარდგენილ იქნა ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობაზე ახალი კონკურსის (დოკუმენტური მონაცემების შეფასება; პრეტენდენტებთან გასაუბრება) გარეშე, რითაც **დაირღვა** ,,უმაღლესი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ე'' ქვეპუნქტის მოთხოვნა[1] და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის ,,ე'' ქვეპუნქტის მოთხოვნა[2].

2016 წლის 17 თებერვლის აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმი №5 შეიცავს დასაბუთებას, თუ რატომ იქნა მიღებული გადაწყვეტილება არსებულ კანდიდატებს შორის ხელახალი კენჭისყრის პროცედურის ჩატარების შესახებ. კერძოდ ოქმში მითითებულია, რომ ვინაიდან იოსებ არჩვაძემ უნივერსიტეტში წარმოადგინა განცხადება თავისი კანდიდატურის მოხსნის შესახებ, შეიქმნა ისეთი ფაქტობრივი გარემოება, რომელიც თავისი ბუნებით გაუტოლდა იმ ვითარებას, თითქოს აკადემიურმა საბჭომ ვერ უზრუნველყო წარმომადგენლობითი საბჭოსათვის ადმინისტრაციის ხელმძღვანელობის კანდიდატის წარდგენა, აკადემიური საბჭო დადგა ზემოთ დასახელებული რეგულაციებიდან გამომდინარე მოთხოვნების შესრულების აუცილებლობის წინაშე. გათვალისწინებულ იქნა ის ფაქტორიც, თუ რამდენად მნიშვნელოვანი დატვირთვის მატარებელია ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ინსტიტუტი უნივერსიტეტისთვის კანონმდებლობით გათვალისწინებული მისი მიზნებისა და ინტერესების უზრუნველსაყოფად და, შესაბამისად, რამდენად მნიშვნელოვანია ამ თვალსაზრისით, შესაბამისი კანდიდატის დროული გამოვლენა წარმომადგენლობითი საბჭოსთვის დასამტკიცებლად მის წარსადგენად. ოქმში მითითებულია, რომ შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე (წარმომადგენლობითი საბჭოსთვის წარდგენილი კანდიდატის მიერ საკუთარი კანდიდატურის მოხსნა), ფაქტობრივად შეიქმნა ისეთი ვითარება, რომ

---

[1] აკადემიური საბჭო ამ კანონის შესაბამისად წარმომადგენლობით საბჭოს სიითი შემადგენლობის უმრავლესობით წარუდგენს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კონკურსის საფუძველზე შერჩეულ კანდიდატურას.

[2] კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად, ამ წესდებით განსაზღვრული მიზნების განსახორციელებლად, აკადემიური საბჭო წარმომადგენლობით საბჭოს სიითი შემადგენლობის უმრავლესობით წარუდგენს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კონკურსის საფუძველზე შერჩეულ კანდიდატურას.

თითქოს აკადემიურმა საბჭომ კენჭისყრა/კანდიდატის შერჩევა და წარმომადგენლობითი საბჭოსთვის კანდიდატის წარდგენა, ვერ მოახდინა, ანუ ვაკანტური ადგილის დასაკავებლად კანდიდატი ვერ გამოავლინა.

ზემოაღნიშნული პოზიცია სამართლებრივ საფუძველს მოკლებულია, ვინაიდან როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აკადემიურ საბჭოს თავისი ვალდებულება კონკურსის ჩატარებისა და კანდიდატის წარდგენის კუთხით შესრულებული ქონდა, ხოლო რადგან აკადემიური საბჭოსაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ვერ მოხერხდა წარდგენილი კანდიდატის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობაზე დამტკიცება, კანონმდებლობით აკადემიურ საბჭოს ევალებოდა სწორედ კონკურსის საფუძველზე ახალი კანდიდატის შერჩევა და წარდგენა და არა იმავე კონკურსის ფარგლებში ხელახალი კენჭისყრის ჩატარება (კანონმდებლობა არ ითვალისწინებს, ერთი და იგივე კონკურსის საფუძელზე ორი კანდიდატის შერჩევის შესაძლებლობას).

რაც შეეხება ოქმში მითითებულ იმ გარემოებას, რომ აკადემიურ საბჭოს შექმნილ ვითარებაში უნდა მოეხდინა სწრაფი რეაგირება, ვინაიდან ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ინსტიტუტი უნივერსიტეტისათვის მნიშვნელოვანი დატვირთვის მატარებელია, აღსანიშნავია, რომ კანონმდებლობა ითვალისწინებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოვალეობის შესრულებელს, შესაბამისად, აღნიშნულ შემთხვევაში ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ფუნქციის შესრულების შეფერხება არ მოხდებოდა.

აღსანიშნავია, რომ ,,უმაღლესი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ზ'' ქვეპუნქტის თანახმად, აკადემიური საბჭო წარმომადგენლობით საბჭოს წარუდგენს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ახალ კანდიდატურას ადმინისტრაციის ხელმძღვანელის უფლებამოსილების შეწყვეტიდან **ერთი** თვის ვადაში.

იმავე კონკურსის ფარგლებში ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კანდიდატურის ხელახლა წარდგენა განხორციელდა 2016 წლის 22 თებერვალს, მაშინ როდესაც ადმინისტრაციის ხელმძღვანელს უფლებამოსილება ამოეწურა 2016 წლის 17 იანვარს. შესაბამისად, ზემოაღნიშნული ერთთვიანი ვადა დარღვეულ იქნა.

2016 წლის 17 თებერვლის აკადემიური საბჭოს №5 სხდომის ოქმში ასევე მითითებულია, რომ აკადემიური საბჭო არ არის შეზღუდული იმ შესაძლებლობით, რომ კანდიდატის შერჩევის მიზნით, კიდევ ერთხელ/ხელახლა იმსჯელოს თითოეულ კანდიდატზე აკადემიური საბჭოს 2015 წლის 26 ოქტომბრის №109/2015 დადგენილებით გამოცხადებული კონკურსის საფუძველზე დარეგისტრირებულ პრეტენდენტთა წრიდან.

ზემოაღნიშნული პოზიცია ასევე მოკლებულია სამართლებრივ საფუძველს, ვინაიდან ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი. ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ'' საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი და მეორე პუნქტების თანახმად, დასახული მიზნებისა და დაკისრებული ფუნქციების განსახორციელებლად საჯარო სამართლის

იურიდიულ პირს აქვს სპეციალური უფლებაუნარიანობა. საჯარო სამართლის იურიდიული პირი უფლებამოსილია განახორციელოს შესაბამისი კანონით, საქართველოს მთავრობის დადგენილებით ან/და თავისი წესდებით (დებულებით) გათვალისწინებული საქმიანობა, თუ შესაბამისი კანონით სხვა რამ არ არის განსაზღვრული. ამასთან, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირის უფლებამოსილება განსაზღვრულია კანონმდებლობით (,,უმაღლესი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონით, უნივერსიტეტის წესდებით) და იგი არ არის უფლებამოსილი განახორციელოს რაიმე ქმედება, რაც არ არის დაშვებული კანონმდებლობით.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60[1] მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის **მომზადების ან გამოცემის** წესის არსებით დარღვევად ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ამ კოდექსის 32-ე ან 34-ე მუხლით გათვალისწინებული წესის დარღვევით ჩატარებულ სხდომაზე ან კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების სახის დარღვევით, **ანდა კანონის ისეთი დარღვევა, რომლის არარსებობის შემთხვევაში მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება.** ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს ბათილად ცნობს მისი გამომცემი ადმინისტრაციული ორგანო, ხოლო საჩივრის ან სარჩელის შემთხვევაში – ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო ან სასამართლო.

შემსრულებლები:

შიდა აუდიტის დეპარტამენტის ინსპექტირების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი — ზაურ ხვედელიძე

შიდა აუდიტის დეპარტამენტის ინსპექტირების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი — თამარ ალავიძე

შეთანხმებულია:

შიდა აუდიტის დეპარტამენტის ინსპექტირების სამმართველოს უფროსი — თეონა გაბიჩვაძე

შიდა აუდიტის დეპარტამენტს მიზანშეწონილად მიაჩნია:

დაევალოს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ბათილად ცნოს:

უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2016 წლის 17 თებერვლის №5 სხდომის ოქმში დაფიქსირებული გადაწყვეტილება არსებულ კანდიდატებს შორის ხელახალი კენჭისყრის პროცედურის ჩატარებისა და კანცლერის შერჩეული კანდიდატის სენატისადმი წარდგენის ბოლო ვადად 2016 წლის 23 თებერვლის განსაზღვრის შესახებ;

უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილება (№20/2016 17/02/2016) ,,სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატის შერჩევის მიზნით კონკურსის გამოცხადების, პრეტენდენტთა რეგისტრაციის დაწყებისა და მათი შერჩევის კრიტერიუმების შესახებ განცხადების ტექსტის დამტკიცების თაობაზე'' აკადემიური საბჭოს 2015 წლის 26 ოქტომბრის №109/2015 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2016 წლის 19 თებერვლის №6 სხდომის ოქმში დაფიქსირებული აკადემიური საბჭოს მიერ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობაზე წარსადგენად გიორგი გაფრინდაშვილის კანდიდატურის შერჩევის გადაწყვეტილება;

უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილება (№21/2016 19/02/2016) ,,სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობაზე კანდიდატის შერჩევის შესახებ'';

უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წარდგინება (№2/03-01-14 22/02/2016) უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოსათვის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობაზე დასამტკიცებლად გიორგი გაფრინდაშვილის კანდიდატურის წარდგენის შესახებ.

მიეცეს მითითება სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, გაითვალისწინოს დასკვნაში მითითებული დარღვევა შემდგომ საქმიანობაში და განხორციელებული ღონისძიებების შესახებ ანგარიში წარმოადგინოს შიდა აუდიტის დეპარტამენტში ერთი თვის ვადაში.

შიდა აუდიტის დეპარტამენტის უფროსის
მოადგილე — გიორგი ქოჩიშვილი

შიდა აუდიტის დეპარტამენტის უფროსი — ალექსანდრე ონოფრიშვილი